ახლახან მოსკოვში დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, სადაც I ადგილი მოიპოვა სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა.

• • •

სურათზე: სსრ კავშირის პირველი ნაკრებისა და იაპონიის ეროვნული გუნდის შეხვედრის მომენტი.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

[illegible]

● **მოსკოვი, 4 სექტემბერი.** იაპონელ ფრენბურთელ ქალთა ლეგენდარული გუნდი „ნიჩიბო“ სსრ კავშირში გამოსვლებით ამთავრებს თავის ევროპულ ტურნეს. იაპონელებმა ამ მოგზაურობის „საბჭოური ნაწილი“ გამარჯვებით დაიწყეს: გუშინ აქ ანგარიშით 3:2 (20:18, 8:15, 15:12, 9:15, 15:11) დაამარცხეს სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები. „ნიჩიბო“ საბჭოთა კავშირში კიდევ ოთხ მატჩს გამართავს — ქვეყნის პირველ და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებთან.

● **იმატრა, 4 სექტემბერი.** ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა პ. ნევალამ აქ გამართულ შეჯიბრებაში შუბი 87,44 მეტრზე ტყორცნა, ხოლო მეორე ფინელმა მძლეოსანმა, 19 წლის ხ. სიიტონენმა — 79,58 მეტრზე. 5000 მეტრზე რბენაში ფინეთის ახალი რეკორდი დაამყარა ი. ვიაიატიაინენმა — 13.50,0.

● **ობერჰოფი, 4 სექტემბერი.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამ უდიდეს ტრამპლინთან 1500 მაყურებელმა მოიყარა თავი. სანახაობა მართლაც საინტერესო იყო: ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ „ზამთრის წარმომადგენლები“ — „მფრინავი მოთხილამურეები“. ყველას აჯობა 22 წლის ჰ. შმიდტმა, რომელსაც სულ მეტრნახევარი დააკლდა ტრამპლინის რეკორდის (82 მ) გამეორებამდე. შმიდტმა უკან ჩამოიტოვა ისეთი ძლიერი მხტომელები, როგორიც არიან ვ. შტერი და მ. ვოლფი.

● **ბელგრადი, 4 სექტემბერი.** ამხანაგურ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ იუგოსლავიისა და რუმინეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1. ანგარიში მე-14 წუთზე გახსნეს სტუმრებმა — დემბროვსკიმ ზუსტი დარტყმით გაგზავნა ბურთი იუგოსლაველთა კარში. მასპინძლებმა მხოლოდ მატჩის მიწურულს გაათანაბრეს ანგარიში: 86-ე წუთზე მაიაკიჩმა წონასწორობა აღადგინა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 174 (3913)

1969 წ.
6 სექტემბერი,
შაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

[illegible]

ჩელიაბინსკი, 4 სექტემბერი. ადგილობრივი „ლოკომოტივის“ სტადიონზე დღეს ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური შეჯიბრების მონაწილემ, ტაშკენტელმა მძლეოსანმა როზა ბაბიჩმა. 200 მეტრზე თარჯრბენში მან ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 26,7 წამი. მოსკოვის დინამოელ გ. მიტროხინას ძველი რეკორდი 0,2 წამით გაუმჯობესდა.

20^{45}

ოქროს მედლებისთვის—თბილისისა და კიევის დინამოელები

ფრენბურთელ ვაჟთა მიზანია მსოფლიოს თასი

„მეშახტე“ — „ლოკომოტივი“ 0.0

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

◆ **დონეცკი, 5 სექტემბერი** (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დიდ ინტერესს იწვევს ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოზარდ ფეხბურთელთა მოსამზადებელი ჯგუფების ფინალური ტურნირი. განსაკუთრებული სიმწვავით აღინიშნა თბილისის დინამოელთა შეხვედრა ადგილობრივ „შახტიორთან“. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 1:0. ბრწყინვალედ ითამაშა დინამოელთა მეკარემ მოსაშვილმა, რომელმაც ორი პენალტი უკუაგდო. გამოირჩეოდა ბუძიშვილიც. ხვალ, თბილისელებისა და კიევის დინამოელთა მატჩში, გადაწყდება ოქროს მედლების საკითხი (კიეველებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ქუთაისის ტორპედოელები).

ო. უშვერიძე,
კ. სარქისოვი.

◆ **ბერლინი, 5 სექტემბერი.** ყველა „საფრენბურთო გზა“ ახლა მიემართება გდრ-ში, სადაც 13 სექტემბერს სტარტს აიღებს სეზონის უდიდესი შეჯიბრება — მსოფლიო თასის გათამაშება. ამ საპატიო პრიზის პრეტენდენტები ტურნირის დაწყებამდე დარჩენილი დღეების მაქსიმალურად გამოყენებას ცდილობენ. ერთ-ერთმა ფავორიტმა — შეჯიბრების მასპინძელთა ნაკრებმა იოლად სძლია უნგრეთის ეროვნულ გუნდს — 3:0 (15:12, 15:8, 15:4). ჩეხოსლოვაკიის, იაპონიისა და ბრაზილიის ფრენბურთელებმა პრაღასა და ბრნოში გაითამაშეს საერთაშორისო ტურნირი. გაიმარჯვეს მეხიკოს ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონებმა—იაპონელებმა: მათ ჯერ ჩეხოსლოვაკიელები დაამარცხეს (3:0 — 15:3, 15:2, 15:8), მერე კი ბრაზილიელები (3:1 — 13:15, 15:13, 15:9, 15:10).

◆ ბერლინი, 5 სექტემბერი. ჰალეში წაგების (1:2) შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჰოკეისტთა ნაკრებმა თავის დედაქალაქში ფრედ დაამთავრა შეხვედრა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთან — შვეციის ეროვნულ გუნდთან — 4:4. მეორე პერიოდის შუაში ახალგაზრდა გერმანელი ჰოკეისტები დაწინაურდნენ კიდეც (2:1), მაგრამ შემდეგ ზედიზედ 3 შაიბა გაუშვეს თავიანთ კარში. მეთ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ მარცხმა ისინი არ დააბნია. ორივე მატჩს საბჭოთა არბიტრები ა. სეგლინი და ვ. დომბროვსკი მოემსახურნენ.

◆ ყაზანი, 5 სექტემბერი. ხ. კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირის VII ტურში საბჭოთა დიდოსტატმა ა. სუეტინმა მოუგო გარსიას (კუბა), ხოლო მეორე საბჭოთა დიდოსტატმა ვ. კორჩნოიმ — ვ. ულმანს (გდრ). შეჯიბრებას კვლავინდებურად ლიდერობს სუეტინი — 6 ქულა. 5-5 ქულით მომდევნო ადგილებზე არიან კორჩნოი და იუგოსლაველი დიდოსტატი ს. გლიგორიჩი.

◆ **ტყიბული, 5 სექტემბერი.** დღეს აქ გაიმართა საკავშირო პირველობის მორიგი მატჩი „ა“ კლასის II ჯგუფის IV ქვეჯგუფის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. თამაშობდნენ ადგილობრივი „მეშახტე“ და გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — თბილისის „ლოკომოტივი“. 90-წუთიანი დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 0:0.

გელერი — 23-ე მონაწილე

დიდოსტატი ე. გელერი სსრ კავშირის ვაჟთა 37-ე საჭადრაკო ჩემპიონატის 23-ე მონაწილეა. ასე გადაწყვიტა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა 4 სექტემბერს გამართულ თავის სხდომაზე (გელერს არ უთამაშია ნახევარფინალში, მაგრამ ფინალში გამონაკლისის სახით მიიღებს მონაწილეობას, როგორც მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა ორი უკანასკნელი ტურნირის მონაწილე).

ფინალში, რომელიც 5 სექტემბერს გაიხსნა, თამაშობს 15 დიდოსტატი, მათ შორის, მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ტ. პეტროსიანი, ვ. სმისლოვი, მ. ტალი, სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. პოლუგაევსკი, აგრეთვე, 8 ოსტატი, რომელთა შორის არიან ნიჭიერი საჭადრაკო ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

ჩემპიონატის ადგილია რკინიგზელთა კულტურის ცენტრალური სახლი. ტურნირი 11 ოქტომბრამდე გასტანს.

[illegible]

შეხვედრა გააპროტესტეს

ორჯონიკიძე, 5 სექტემბერი (ფოტოდეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ჩრდილოეთ კავკასიის ოთხ ქალაქში მიმდინარეობს „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა რეგბიში. თბილისელთა გუნდი ორჯონიკიძეში გამოდის. პირველი შეხვედრა მას მოსკოველებთან ჰქონდა.

მატჩში თბილისელთა აშკარა უპირატესობა იგრძნობოდა, მაგრამ აქ საქმეში ჩაერია მოსკოველი არბიტრი ვ. კუდრიავცევი. როცა შეხვედრის დამთავრებას 10 წუთი აკლდა (ანგარიში იყო 5:0 ქართველ სპორტსმენთა სასარგებლოდ), მან მინდვრიდან გააძევა ორი თბილისელი და დანიშნა რამდენიმე საეჭვო საჯარიმო ჩვენი გუნდის კარში. მოსკოველებმა კარგად გამოიყენეს ორი საჯარიმო და გაიმარჯვეს — 6:5.

თბილისელებმა მატჩი გააპროტესტეს.

მეორე ტურში შევხვდით ერევნელებს. ჩვენებმა აშკარად დაჯაბნეს სომხეთის რეგბისტები — 39:3. გამარჯვებულთაგან ქულები მოიპოვეს: დადეშქელიანმა—12, სალუქვაძემ — 6, სიკინჭილაშვილმა — 6, გელოვანმა, თაქთაქიშვილმა, ხერხეულიძემ, კიკალეიშვილმა და ანდღულაძემ — 3-3.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ნალჩიკი — ერევანი 12:6, კიევი — ლენინგრადი 15:3, ნალჩიკი — ლენინგრადი 3:9, კიევი — მოსკოვი 30:9.

დ. თაქთაქიშვილი.

მატჩი დამთავრდა ფრედ, გაიმარჯვა კი „რაპიდმა“

3 სექტემბერს 80 ათასი მაყურებელი დაესწრო მოსკოვის „ტორპედოსა“ და ვენის „რაპიდის“ ფეხბურთელთა განმეორებით მატჩს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე (პირველი შეხვედრა ვენაში, როგორც ცნობილია, დამთავრდა ფრედ — 0:0).

მოსკოველებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს პირველი ტაიმი, მაგრამ ვერ შეძლეს მეტოქის კარის აღება. „რაპიდს“ ახლა წვრთნის ცნობილი სპეციალისტი კ. რაპანი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შეიმუშავა გაძლიერებული დაცვითი სისტემა. მაყურებელმა ამჯერად იხილა ე. წ. „რაპანის საკეტის“ ერთ-ერთი ვარიანტი, როცა დაცვაში მოქმედებდა თავისუფალი მცველი და ამას გარდა „რაპიდის“ უკანა ხაზის მოთამაშეები ხშირად მიმართავდნენ თამაშგარე მდგომარეობის ხელოვნური შექმნის წესს. ყოველივე ამან მოსკოველებს შედეგის მიღწევა გაუძნელა.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა შეძლეს რამდენიმე სწრაფი კონტრიერიშის განხორციელება და ერთ-ერთი მათგანი 54-ე წუთზე გოლით დაამთავრა რედლმა.

ამ გოლის გაქვითვა მოსკოველებმა შეძლეს მხოლოდ 88-ე წუთზე (გერშკოვიჩი) და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა—1:1.

ამ ევროპული ტურნირის დებულების თანახმად გათამაშების შემდგომ ტურში მონაწილეობის უფლება მიიღო „რაპიდმა“, ვინაიდან მან მოწინააღმდეგის მინდორზე შეძლო ერთი ბურთის გატანა (ამ შემთხვევაში — ერთისა). მოსკოვის „ტორპედო“ შეხვედრებს გამოეთიშა. ვენელები 17 სექტემბერს ითამაშებენ ჰოლანდიის „ენდჰოვენთან“.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

მოსკოვი.

* * *

სურათზე: მოსკოვის „ტორპედოსა“ და ვენის „რაპიდის“ შეხვედრის მომენტი.

ფოტო ნ. პრივალოვისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცდომები და პრობლემები

„საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მიიღოს ზომები სპორტული ბაზების გაფართოებისთვის, არ დაუშვას ახალი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა ან საექსპლოატაციოდ მიღება სპორტნაგებობათა გარეშე".

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დადგენილებიდან.

„ლელომ" სხვადასხვა დროს რამდენიმე წერილი მიიღო ხულოს რაიონის რიყეთის საშუალო სკოლის მშენებლობის პროექტიდან სპორტული დარბაზის ამოღების თაობაზე. პირველი სიგნალი შარშან დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. ახლახან რიყეთელმა ახალგაზრდებმა კვლავ მოგვაწოდეს საგანგაშო სიგნალი დარბაზის მშენებლობის გაჭიანურების გამო.

პირველ ყოვლისა აჭარის განათლების სამინისტროს ვეწვიეთ. სასოფლო მშენებლობის განყოფილების პასუხისმგებელმა მუშაკებმა გვითხრეს: ტყუილად გარჯილხართ აქ ჩამოსვლით, ყველაფერი საქართველოს განათლების სამინისტროში უნდა გაარკვიოთო.

—მიზეზი აჭარელმა კოლეგებმა ჩვენზე უკეთ იციან. ადგილობრივი მშენებლები ვერ თანხმდებიან, ჩვენ რა შუაში ვართ?—თავის მხრივ გვითანაგრძნო რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსმა მ. ანჯაფარიძემ.

როცა მეორედ ჩავედით, აჭარის განათლების მუშაკებმა გვიჩვენეს სკოლის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. ამ საბუთებით სკოლის მშენებლობა უდარბაზოდაა გათვალისწინებული. დარბაზი რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ტექნიკურ საბჭოს მოუხსნია ხარჯთაღრიცხვიდან პროექტის განხილვისას. წლეულს კი, როცა რიყეთში სკოლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა, თვალნათლივ გამოჩნდა აღრინდელი შეცდომა. ბათუმში გვიჩვენეს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 3 თებერვლის № 1 ოქმის ამონაწერი, რომლის დადგენილება ასე მთავრდებოდა: „დამტკიცდეს რიყეთის სკოლის მშენებლობის ტექდოკუმენტაცია მეორე რიგის სამუშაოების სპორტდარბაზის მშენებლობის ღირებულების გათვალისწინებით".

რას ნიშნავს მეორე რიგის სამუშაოები?

რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილემ მ. ქოჩაკიძემ ჩვენთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნა, — სპორტული დარბაზი იგივე საკლასო ოთახია და სამინისტროც გულისყურით ეკიდება ამ საქმესო.

თუ ასეა, რის საფუძველზე მიიჩნიეს რიყეთის დარბაზის მშენებლობა მეორე რიგის სამუშაოდ? იქნებ ამით შეცდომის დაგვიანებით გამოსწორება თუ მიჩქმალვა უნდოდათ?

რესპუბლიკისა და აჭარის განათლების სამინისტროებში არც მაინცდამაინც დიდი დაინტერესება გამოუჩენიათ ამ საკითხისადმი.

რაკი სიტყვიერი განმარტებიდან აზრი ვერ გამოვიტანეთ, იძულებული გავხდით წერილობითი საბუთები გვეძებნა. აჭარაში მხოლოდ დოკუმენტების სარეგისტრაციო ნომრები გაიმეტეს, საბუთებს ამის მიხედვით მონახავთ თბილისშიო. რესპუბლიკის განათლების პასუხისმგებელმა მუშაკმა ლ. გოცაძემ ამ ნომრებით ძველ საქმეებში სულ სხვა ქაღალდები აღმოაჩინა. ტექნიკური საბჭოს სხდომის ოქმის მოძებნა კი, სადაც თვალნათლივ უნდა ჩანდეს რიყეთის სკოლის ხარჯთაღრიცხვიდან დარბაზის ამოღების რეალური მიზეზი, ვერ მოახერხეს.

ავტორიტეტულმა მუშაკებმა პირდაპირ გამოგვიცხადეს: საბუთები რა საჭიროა, ჩვენს სიტყვებს დაეყრდენითო. აქაც სწორედ ამიტომ ვიშველიებთ მათთან საუბრის ჩანაწერს:

ვ. წულუკიძე: აჭარის განათლების მინისტრი. როცა რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ რიყეთის საშუალო სკოლის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვიდან სპორტდარბაზი ამოიღო, მინისტრის მოადგილემ მ. ქოჩაკიძემ გვითხრა, თქვენს სკოლაში მოსწავლეთა რიცხვი მცირეა (288) და სპორტული დარბაზი არ გვკუთვნითო (!).

მ. ქოჩაკიძე: ერთბაშად ყველა სამუშაოს შესრულება ძნელი იყო. დარბაზის მშენებლობა წლეულს შევიტანეთ სატიტულო სიაში, მაგრამ ბათუმის № 5 სამშენებლო ტრესტის მმართველი მ. უსტიაშვილი კატეგორიულ უარზეა.

მ. უსტიაშვილი: როცა დრო იყო, სპორტდარბაზი ხარჯთაღრიცხვიდან ამოაგდეს. ახლა არაგეგმიურს კი არა, გეგმიურ მშენებლობას ვერ ავუდივართ.

რას იზამ, თავს ყველა თავისებურად იმართლებს, თუმცა კარგად ესმით, რომ სკოლისთვის სპორტული დარბაზი აუცილებელია. სხვათა შორის, მთელ ხულოს რაიონში ერთი ხეირიანი სპორტული დარბაზიც არ არის.

აჭარის ბაზების საკითხზე სხვაც ბევრი გვაქვს სათქმელი. ბათუმში სწორედ მე-5 სამშენებლო ტრესტი აშენებს სპორტსკოლის ახალ შენობას, მაგრამ მშენებლობის ტემპი ნეტად დაბალია, დღეისათვის მთელი სამუშაოს 30-35 პროცენტი თუ იქნება შესრულებული.

როცა დამთავრდება ელირსება, ეს ნაგებობა ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ჩვენს რესპუბლიკაში, თუმცა ბევრს ვერაფერს შემატებს ამ საკურორტო ქალაქის არქიტექტურულ სილამაზეს. იგი ქალაქგარეთ დაუგეგმავთ და არ გვგონია, ამან გავლენა არ იქონიოს მომეცადინეთა რიცხვზე.

ამ დღეებში გაცხოველებული მუშაობა იყო გაჩაღებული ბათუმის მე-2 საშუალო სკოლის მშენებლობაზე. სპორტული დარბაზის დათვალიერება გვინდოდა.

— სპორტდარბაზი ცალკე არა გვაქვს, სააქტო-სპორტულ დარბაზში წამობრძანდითო, — პროექტის ენით შეგვისწორეს მშენებლებმა. საინტერესოა, თუ დარბაზში მაყურებლისათვის სკამები დაიდგმება, სად უნდა წაიღონ სპორტული იარაღები, როგორღა უნდა ჩაატარონ გაკვეთილები? და, პირიქით, იარაღები რომ დააწყონ, სად წაიღონ 270 სკამი?

სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი თურმე ვის არ ემუდარა, ასეთი დარბაზი არ გამოგვადგებაო, მაგრამ დაარწმუნეს, პროექტი ამ საქმის ჩვენზე უკეთ მცოდნე ხალხმა დაამუშავა და დაამტკიცაო. როგორც გვითხრეს, ამ პროექტით ტიპიური სკოლები იგება რესპუბლიკაში. სანამ გვიან არაა, იქნებ ჯობდეს დავფიქრდეთ? პროექტი 1964 წელსაა შემუშავებული და რატომ უნდა გამჯობინოთ იგი სხვას, თუ დღევანდელი გაზრდილი მოთხოვნებისათვის მოძველებული და შეუფერებელია? ისიც ხომ ცხადია, რომ ყველა სიახლე როდი მართლდება პრაქტიკულად. თბილისის 108-ე სკოლაში, რომლისთვისაც თავდაპირველად ეს პროექტი შემუშავდა, წარმოუდგენლად ძნელია ფიზკულტურის გაკვეთილებისა და სექციური მეცადინეობის ჩატარება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამდენი გატან-გამოტანით ფუჭდება ძვირად ღირებული სპორტული ინვენტარი.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ აჭარის განათლების მინისტრის ვ. წულუკიძის სიტყვები: შარშან ლიტვაში ვიყავი და პირდაპირ გაოცებული დავრჩი, სკოლებს ორ-ორი დარბაზი აქვთ დაწყებითი და მაღალი კლასებისთვის. ამასთან, ყოველ სკოლაში ცალკეა სააქტო დარბაზი.

რესპუბლიკის განათლების სამინისტროში გვიჩვენეს ამჟამად მოქმედი პროექტის გადამუშავებული ვარიანტი, სადაც სპორტული დარბაზი ცალკეა დაგეგმილი. დარბაზის გაგრძელებაზე პირველ სართულზე შრომითი სახელოსნოებია განლაგებული, მეორეზე — სააქტო დარბაზი. ეს ვარიანტი მართლაც ჩინებულია, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, მისი პრაქტიკულად განხორციელება ქალაქმშენის საბოლოო გადაწყვეტილებაზე ყოფილა დამოკიდებული.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები გვაიძულებს დავფიქრდეთ აჭარის ბაზების პრობლემებზე. აქ თურმე 158 სკოლას არა აქვს სპორტული დარბაზი. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტზე შემსვლელთა უმეტესობა პრაქტიკული დისციპლინების ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ აბარებდა.

რაიონებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით ბათუმში, სადაც საბჭოთა კავშირში ყველაზე მეტი ნალექი მოდის ყოველწლიურად, თითზე ჩამოსათვლელიც არაა დახურული დარბაზები. დღესდღეობით ბათუმში ცენტრალურ სავარჯიშო ბაზას ეკლესიების შენობები წარმოადგენს. ერთ მათგანში „სპარტაკის" აღსაზრდელები ვარჯიშობენ, მეორეში — განათლების განყოფილების სპორტსკოლისა. შენობა, რომელშიც ამჟამად სპორტსკოლაა მოთავსებული, კარგა ხანია უნდათ ნამდვილ სპორტულ დარბაზად გადააკეთონ. თავის დროზე პროექტიც დაუმუშავებიათ, მაგრამ ეს ნაგებობა ქალაქის ცენტრშია და ბათუმის საყოფაცხოვრებო კომბინატის მესვეურებსაც მოსვლიათ თვალში. თავის მხრივ მათაც შეუდგენიათ პროექტი და ახლა საქმე ისაა, ბედი ვის გაუღიმებს.

თ. ბაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

ვ. კრიშჩიშინი.

ვ. გოლოვანოვი

ყველა გზა ვარშავისკენ მიდის...

სექტემბრის მეორე ნახევარში პოლონეთის დედაქალაქი დედამიწის უძლიერეს ძალოსნებს უმასპინძლებს. მსოფლიო ჩემპიონატი პირველად გაიმართება არა შვიდ, არამედ ცხრა წონით კატეგორიაში. თავის პირველ ოქროს მედლებს გაითამაშებენ უმჩატესი (52 კგ-მდე) და მძიმე წონის (110 კგ-მდე) წარმომადგენლები. ამ კატეგორიებმა ეს-ესაა მიიღეს „მოქალაქეობის უფლება" ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციისგან.

რა თქმა უნდა, საგზურების მფლობელთა ვინაობა ცოტა მოგვიანებით გადაწყდება. მიუხედავად ამისა, ბევრმა საბჭოთა ძალოსანმა უკვე სერიოზული განაცხადი გააკეთა ვარშავაში გამგზავრებაზე.

ვ. კრიშჩიშინს ერთი შეხედვით არც მიაქცევ ყურადღებას ლვოვის ტროტუარებზე მოზიმზიმე ჭრელ ხალხში, მაგრამ 24 წლის არმიელმა სპორტსმენმა უკვე დიდი ხანია აალაპარაკა სპეციალისტები და სპორტის მოყვარულები. იგი მშვენივრად შეეგუა ახალ წონით კატეგორიას (52 კგ-მდე) და მსოფლიო მიღწევის ავტორია სამჭიდის ჯამში — 332,5. მასვე ეკუთვნის მსოფლიო მიღწევები აჰიმვასა და აკვრაში. მაგრამ კრიშჩიშინმა იცის, რომ ეს შესაძლოა გამარჯვებისთვის საკმარისი არ გამოდგეს და ამიტომ გულმოდგინედ ვარჯიშობს.

ვ. გოლოვანოვი ძალოსნობაში ახალბედა არ არის. მან ჯერ კიდევ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი ქვემძიმე წონაში. ფეხის ტრავმამ ხელი შეუშალა მის წარმატებას ბოლო წლებში. მაგრამ 30 წლის ვეტერანმა უკვე გაზაფხულზე, თუ შეიძლება ითქვას, მეორე სიჭაბუკე მოიპოვა. ამ ცოტა ხნის წინ მან სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო მძიმე წონაში შედეგით—522,5 კგ.

მოსკოველი არმიელის ვ. კურენცოვის ანგარიშზე 21 მსოფლიო რეკორდი მოდის. ბოლო მიღწევა დამყარებულია დონის როსტოვის ფიცარნაგზე, სადაც კურენცოვმა ოქროს მედალი მიიღო ქვესაშუალო წონაში. კურენცოვი საბჭოთა ნაკრების უპირველესი კანდიდატია. მისი სარეკორდო ჯამი — 482,5 კგ — ჯერჯერობით მიუღწეველია ქვესაშუალო წონის წარმომადგენლებისთვის.

ლ. ჟაბოტინსკის დიდებამ და წარმატებამ როგორღაც უკან გადასწია სხვა საბჭოთა ძალოსნები, რომელთა შორის უაღრესად ნიჭიერი სპორტსმენებიც არიან. № 2 საბჭოთა ძალოსნად შეიძლება ჩაითვალოს დონეცკელი სტუდენტი ს. ბატიშჩევი. იგი 555 კგ-ით VI ადგილზეა დედამიწის უძლიერესთა შორის სპორტის მთელი ისტორიის მანძილზე. და ეს 28 წლის გოლიათის ბოლო სიტყვა არაა. (საკდესი).

ს. ბატიშჩევი.

ფოტო ვ. უნ და-ხინისა (საკდესი).

ავჭალის სასროლეთზე

რევანში შედგა

ჩვენი რესპუბლიკის ტყვიის მსროლელები წარმატებით გამოდიან წლევანდელ სეზონში. ეს პირველ ყოვლისა ეხება სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს შ. ქველიაშვილს, რომელმაც ახლახან ევროპის პირველობიდან (შეჯიბრება ჩეხოსლოვაკიაში ჩატარდა) ოქროს ორი და ვერცხლის ერთი მედალი ჩამოიტანა. მანვე დაამყარა საბჭოთა კავშირის რეკორდი ჩოქელა სროლაში „დინამოს" VIII საკავშირო სპარტაკიადაში. ამავე ასპარეზობაში ჩემპიონობა მოიპოვა სპორტის ოსტატმა მ. პაპავამ. დინამოელებს არც დოსააფელები ჩამორჩნენ, რომლებმაც პროფკავშირთა IX საკავშირო სპარტაკიადის გუნდურ ჩათვლაში საერთო VI საპრიზო ადგილი დაიკავეს. მათაც ჰყავთ სპარტაკიადის ჩემპიონი: სპორტის ოსტატი ე. აბაჯიანი.

თავიანთ სპარტაკიადაში წინა წლებთან შედარებით კარგად გამოვიდნენ არმიელებიც. მათ სპარტაკიადის ჩემპიონი არ ჰყავთ, მაგრამ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე სროლაში გუნდმა (სპორტის ოსტატები ე. სალუქვაძე, ა. სპივაკოვი, თ. ჩიქვილაძე, კ. ფოტიევი) გარდამავალი თასი მოიპოვა. სპორტის ოსტატმა ტ. კობახიძემ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის რეკორდი დაამყარა: მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე 30 გასროლაში 274 ქულა დააგროვა, სპორტის ოსტატი ე. სალუქვაძე კი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სახელს იცავდა მეგობრული არმიების სპარტაკიადაში.

გამოცდილ სპორტსმენებს არც ნორჩი მსროლელები ჩამორჩნენ. მათაც გაგვახარეს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში წარმატებით. ქუთაისელმა გ. გალოგრემ, მაგალითად, ოქროს ორი მედალი მოიპოვა.

შესანიშნავად ასპარეზობდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. თავდიდიშვილი.

წინაა საპასუხისმგებლო შეჯიბრება — სსრ კავშირის პირველობა, რომელიც ოქტომბრის დამდეგს გაიმართება მოსკოვში...

ამას წინათ ავჭალის სასროლეთზე ერთ კვირას გასტახა საქართველოსა და ლატვიის მსროლელთა ამხანაგურმა შეჯიბრებამ. მანამდე ეს ორი გუნდი უკვე ორჯერ შეხვდა ერთმანეთს, პირველად — სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის წინ. მაშინ შეხვედრა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მოიგეს. მეორე ბრძოლა წლეულს აპრილში გაიმართა რიგაში. ჩვენი გუნდი ძირითადად ახალგაზრდა სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული (ამ შეჯიბრებას დაემთხვა სპორტსაზოგადოებების საგაზაფხულო პირველობა ლვოვში, რომელშიც საქართველოს ბევრი სპორტსმენი მონაწილეობდა სხვადასხვა საზოგადოების სახელით). რიგაში მასპინძლებმა იმარჯვეს და გათანაბრებული ანგარიშით ლატვიელები თბილისს ეწვივნენ.

ამ შეჯიბრებაში ჩვენმა გუნდმა რევანში აიღო — 19 ვარჯიშიდან მხოლოდ 7 წააგო. საქართველოსა და ლატვიის მსროლელებმა თავიანთი რესპუბლიკების თითო რეკორდი გააუმჯობესეს: ჩვენმა ნაკრებმა (სპორტის ოსტატები ვ. სალუქვაძე, მ. ჟამურაშვილი, ო. კვირიკაშვილი და ე. კარტაშიანი) მსხვილკალიბრიანი რევოლვერ-პისტოლეტით 25 მეტრზე მრგვალ სამიზნესა და სილუეტზე სროლაში 7 ქულით გააუმჯობესა ძველი მიღწევა, რომელიც 1964 წელს იყო დამყარებული; ლატვიის გუნდმა (სპორტის ოსტატები ი. შილვანი, ხ. ხოზენფრუსი, ბ. კაპუსტო, ვ. ბურლოვი, ლ. ვასილევსკი) „სადუბლო" სროლაში დაამყარა რეკორდი. მას 11 წუთი დასჭირდა ერთ-ერთი გარბენისთვის (გუნდის წევრები გარბიან 25 მეტრს, ხოლო შემდეგ წოლილა მდგომარეობიდან ესვრიან მეთითვის განკუთვნილ 5 სამიზნე ფარს 300 მეტრზე).

თ. ლეკიშვილი,
სპორტის ოსტატი.

ენთუზიასტი თავმჯდომარე

ზესტაფონის რაიონის ტაბაკინის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავკაცი ნიკოლოზ გაგოშიძე მუდამ მოუცლელია. საზრუნავი ბევრი აქვს: ყველას ლხინი და ჭირი მან უნდა გაიზიაროს, მაგრამ სპორტისთვის მაინც არასოდეს ენანება დრო.

სოფლის ფეხბურთელებს საკუთარი მინდორი აქვთ. სარბიელი ფრენბურთელებმაც მოაწყვეს. თავმჯდომარემ 300 მანეთის სპორტული ფორმა და ინვენტარი შეიძინა.

თვითონ გაგოშიძე პირველთანრიგოსანი მოჭადრაკეა. მან ბევრ თანასოფლელს შეაყვარა ეს თამაში და ტრადიციად აქცია საკოლმეურნეო პირველობის გამართვაც. ამას წინათ III პირველობა ჩატარდა. თავმჯდომარემ არავის დაუთმო ჩემპიონობა.

სოფლის სპორტსმენი ახალგაზრდობა საკოლმეურნეო მინდვრებზე წარმატებით შრომობს. დავასახელოთ, მაგალითად, უ. ჯობაძე, ა. და ნ. აბრამიშვილები, ა. ნიკაჭაძე, ა. ხუსკივაძე, თ. ჯანიაშვილი...

ტაბაკინელები რაიონის შეჯიბრებებში ჯერჯერობით პირველ ადგილებზე არ არიან, მაგრამ მომავლისთვის გამარჯვების დიდი იმედი აქვთ.

ა. განუგრავა.
ზესტაფონი. **(ჩვენი კორ.).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ვ. რცხილაძე

ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, სკკპ წევრი 1951 წლიდან გიორგი (გულო) ვასილის ძე რცხილაძე.

წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომლის ცხოვრება განუყრელად იყო დაკავშირებული ქართული საბჭოთა სპორტის პირველ ნაბიჯებთან, მის განვითარებასა და აყვავებასთან. წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელიც იყო არა მარტო განთქმული სპორტსმენი, არამედ აგრეთვე ნიჭიერი ორგანიზატორი, დაკვირვებული პედაგოგი.

გ. რცხილაძე დაიბადა 1909 წელს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიის ოცი წლის სტუდენტი გაიტაცა სპორტულმა ტანვარჯიშმა, რომელიც მთელი მისი ცხოვრების საქმე გახდა.

სამჯერ — 1932, 1933 და 1934 წლებში გიორგი რცხილაძემ მოიპოვა მაღალი წოდება საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონისა ტანვარჯიშში. 1936 წელს გ. რცხილაძეს ერთ-ერთ პირველს ჩვენს ქვეყანაში მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება. ერთი წლის შემდეგ იგი წარმატებით გამოვიდა მუშათა ოლიმპიადის შეჯიბრებებში ანტვერპენსა და პარიზში.

გ. რცხილაძის შრომითი საქმიანობა განუყრელად იყო დაკავშირებული მის საყვარელ საქმესთან — სპორტთან. მან განვლო გზა სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლიდან თბილისის საქალაქო სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელამდე. და სადაც კი მუშაობდა გიორგი რცხილაძე — სკოლაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ფიზკულტურის ცენტრალურ ინსტიტუტში მოსკოვში, სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოში — ყველგან კეთილი ხსოვნა დატოვა.

1953 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გ. რცხილაძე სათავეში ედგა თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტს. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს დედაქალაქის ფიზკულტურელებმა ბევრი ბრწყინვალე, სახელო გამარჯვება მოიპოვეს საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე, გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტული ორგანიზაციების რიგებში. ამას მოწმობს ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის წითელი დროშა, რომელიც ქალაქის ფიზკულტურულ ორგანიზაციას არაერთხელ გადაეცა.

1967 წელს გ. რცხილაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

გ. რცხილაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ მუშაობაში, არაერთხელ ყოფილა არჩეული საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად. სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის იგი დაჯილდოებული იყო საბჭოთა კავშირის ბევრი ორდენითა და მედლებით.

ჩვენს შორის აღარ არის მომხიბლავი ადამიანი, სპორტსმენი, აღმზრდელი და ორგანიზატორი. განსაკუთრებული თავმდაბლობა, უდიდესი შრომისმოყვარეობა, მაღალი კულტურა, პრინციპულობა, გულისხმიერება და პატიოსნება — ასეთი იყო გიორგი რცხილაძის დამახასიათებელი ნიშნები. ასეთად დარჩება იგი ყველას ხსოვნაში, ვისაც მასთან უმუშავნია ან ვინც მას შეხვედრია.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი;

ფიზიკური კულტურისა და სპორტის თბილისის საქალაქო კომიტეტი.

ახალი სიო შემოიტანა

1927 წელს ყოფილი რეალური სასწავლებლის სპორტდარბაზში მოკრძალებით შეაღო კარი ერთმა ახალგაზრდამ, გიორგი ეგნატაშვილის წინაშე წარსდგა და ტანვარჯიშული წრის მეცადინეობაზე დაშვება ითხოვა. საშუალო ტანის, უბრალოდ გამოწყობილ ახალგაზრდას არაფერი ეტყობოდა, რომ სპორტის ამ რთულ სახეობაში რაიმეს შეძლებდა. მაგრამ მან პირველ დღესვე მიიქცია ყურადღება. ძელზე იგი თავისუფლად ფლობდა სხეულს. მაგრამ სხვა იარაღებზე შესამჩნევად ჩამორჩებოდა. ახალბედას მალე გავეცანით. იგი გულო რცხილაძე აღმოჩნდა, მიშა აბულაძის მოწაფე თბილისის გერმანული სკოლიდან.

ძველი მოვარჯიშენი დაგვიბერდნენ, ზოგმა ცხოვრების წყაროდ სხვა გზა გამონახა, სპორტისადმი კი უფრო ერთგულნი მასწავლებლებად და ინსტრუქტორებად მუშაობდნენ. სპორტსმენთა სიმცირე აფიქრებდა და მაშინ გ. ეგნატაშვილმა შექმნა ნიჭიერ ახალგაზრდათა ბირთვი, რომელსაც ახლა გულოც შეემატა. ეს მონდომებული ახალგაზრდობა ხარბად დაეწაფა სპორტს. ეგნატაშვილი ღრმა ცოდნითა და დიდი ენთუზიაზმით შეუდგა თავისი გამოცდილების გამოყენებას. მას შესწევდა უნარი, რომ პირველი მეცადინეობიდანვე თავისი გავლენის ქვეშ მოექცია მოწაფეები.

გულოს ნიჭი დღითი დღე იფურჩქნებოდა. სხვა იარაღებზე მან არათუ ჩამორჩენას დააღწია თავი, მალე ყველასაც სჯობდა. ტაიჭზე მაინც ბორძიკობდა.

ჯგუფში შეჯიბრება იმართებოდა სხვადასხვა მოვლების შესრულებაში. თითოს 12 მოვლება ევალებოდა, ზოგს განფენა, ზოგს წინფენა, უფრო დახელოვნებულთ — გვერდმოვლი. გულომ ეს საფეხურები მალე აირბინა, უკეთესი ტაიჭოსანი დადგა. მაგრამ მაინც თავი და თავი ძელი დარჩა ამ შესანიშნავი ტანმოვარჯიშისთვის. აქ გულო გედივით ცურავდა!

ამ პერიოდში მას გავეცანით, როგორც მუსიკის ტრფიალს: გულო თბილისის კონსერვატორიაში სწავლობდა, პროფესორების ტრუსკოვსკისა და აისბერგის წარჩინებული მოწაფე იყო. მერე კი, ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ვასილ რცხილაძის გარდაცვალების შემდეგ ადრე დაობლებული ოჯახი სიღარიბემ შეაწუხა და გულო იძულებული გახდა კონსერვატორია მიეტოვებინა.

მაშინ საბჭოთა სპორტს ჩვენში ის-ის იყო ეყრებოდა საძირკველი. ქართულმა ტანვარჯიშმა მალე გაგვაცნო თავი. ეგნატაშვილის სკოლას პირობები შეექმნა — ეს შესანიშნავი დარბაზი ტანვარჯიშის ცენტრალურ სკოლას დაეთმო.

გ. ეგნატაშვილის ჯგუფი ჯერ საქართველოს ჩემპიონია, შემდეგ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისა და წითელი არმიისაც. გ. რცხილაძე პირველობას არ თმობს. შემდეგ ადგილებზე მისი თანაგუნდელები არიან...

აქედან იწყება გ. რცხილაძის ტრიუმფალური სვლა.

როგორ აღარა ჰგავდა ახლა გულო იმ სუსტ ახალგაზრდას, 1927 წელს რომ ვნახეთ.

გულომ ახალი სიო შემოიტანა ჩვენს დარბაზებში. მიმბაძველიც ბევრი გაუჩნდა, მთელი ეპოქა შექმნა. მომდევნო თაობები ხარბად დაეწაფნენ სპორტის ამ სახეობას და საქართველო სამართლიანად იქნა აღიარებული ტანვარჯიშის რესპუბლიკად.

გიორგი რცხილაძე მრავალი წლის მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს. გულოს კარი ყველასთვის მუდამ ღია იყო და იშვიათად თუ რომელიმე მთხოვნელი გაბრუნდებოდა უკან გულდაწყვეტილი.

საყვარელო ძმაო და მეგობარო! შენი თანამოსაქმენი, შენთან შეზრდილები მუდამ გულთბილად შეინახავთ შენს მარადიულ ხსოვნას.

ა. კაიშაური.

მოგონების ერთი ფურცელი

1932 წელი იყო. გულო რცხილაძე და მე პროფკავშირთა ჩემპიონატისთვის ვემზადებოდით გიორგი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში ტანვარჯიშულ იარაღებზე რიგრიგობით ვხვეწდით ილეთებს. ძელზე ჩემი ჯერიც მოვიდა. ვარჯიში კარგად დავიწყე, მაგრამ აღმატრიალის დროს იარაღს მოვწყდი, ხუთიოდე მეტრი „ვიფრინე" და ბოლოს კედელს მივენარცხე. თავბრუდახვეული ძლივს დავდექი ფეხზე, კისერმოღრეცილმა გავწიე ეგნატაშვილისა და გულოსკენ. ეგნატაშვილმა ხუმრობით ისეთი სილა გამაწნა, თვალებიდან ნაპერწკლები გადმომცვივდა.

გულომ ჩვენს აღმზრდელს ჰკითხა:

— ნეტა რა დააშავა, სილა რომ გააწანი?

— ვერ ხედავდი, კისერი სასაცილოდ მოღრეცოდა და მეც მისი სამკურნალო ხაშუალება გამოვიყენეო, — მიუგო მასწავლებელმა და იმ წამსვე ძელზე ასვლა მიბრძანა.



რა მექნა, დავემორჩილე და მართლაც კარგად შესრულებული ვარჯიში გამომივიდა. როცა ძელიდან ლეიბზე დავეშვი, ახლა გულომ მტკიცა სილა ხუმრობით.

— ეს კიდევ ძელიდან უხეირო ჩამოვარდნისთვისო.

სულ მალე გულო და მე ლენინგრადს გავემგზავრეთ. აქ გულო პროფკავშირების სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა, მე კი მოსკოველი ბ. ასტაფიევის შემდეგ III საპრიზო ადგილი დავიკავე. ეს სურათი სწორედ შეჯიბრების წინაა გადაღებული. რამდენიმე წუთიც და გ. რცხილაძე მისთვის ჩვეული ოსტატობით შეუტევს საქვეყნოდ ცნობილ მეტოქეებს.

გ. გაბილოძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ისევ იმ დარბაზში...

სამგლოვიაროდაა მორთული ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი. საზოგადოება ეთხოვება გამოჩენილ სპორტსმენსა და კარგ ადამიანს...

35 წლის წინ კი ამავე დარბაზში ღიმილით შემოგვცქეროდა საბჭოთა კავშირის სამგზის აბსოლუტური ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში გიორგი რცხილაძე. ეს იყო ქართული ტანვარჯიშის დიდი ტრიუმფი.

გ. რცხილაძემ დამაჯერებლად დაამარცხა იმ დროის აღიარებული ფავორიტები ლენინგრადელი ნ. სერის მეთაურობით. უდიდესი ნიჭი, შრომისმოყვარეობა, თავმდაბლობა, სიმშვიდე იყო მისი გამარჯვებების საწინდარი.

„მახსოვს, 1934 წელს თბილისში ჩატარდა ტანმოვარჯიშეთა საკავშირო პირველობა. საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონობა უკვე განაღდებული მქონდა და დავაპირე ბოლო იარაღზე აღარ მევარჯიშნა. ახალგაზრდული გულუბრყვილობა იყო ალბათ. გ. ეგნატაშვილს ეს არ მოეწონა, ცალკე გამიხმო, გამკიცხა — შენი საქციელი მეტოქისა და მაყურებლის უპატივცემულობაა. მე ბოდიში მოვუხადე და ბოლო იარაღზე გამოვედი", — იგონებდა გ. რცხილაძე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

გულო სპორტის მოყვარულთა კერპი იყო. მასზე ლეგენდებსაც კი თხზავდნენ მაყურებლები. „აი, რცხილაძეს, ჩემო ძმაო, რეზინის ტანი აქვს თურმე. ნახე, აბა, ნახე, მაშ რა არის?" ჩურჩულებდნენ დარბაზში და ტკბებოდნენ მისი ვარჯიშების ნატიფი შესრულებით" (გაზეთი „კომუნისტი", № 265. 1934 წ.).

აი, რას წერს „კომუნისტი" ამ შეჯიბრების შესახებ: „ძელზე გ. რცხილაძე ადის. იგი არტისტული სილამაზით ასრულებს თავბრუდამხვევ ნაერთებს. მაყურებლის სიამოვნება აღტაცებაში გადადის. გაისმის ტაშის გრიალი".

სპორტული მიმომხილველები ტანვარჯიშში მის ტრიუმფს ჭადრაკში ბოტვინიკის წარმატებებს ადარებდნენ. „ოსტატი გოგი რცხილაძე და ლენინგრადელი კოლია სერი შეეჯიბრებიან ერთმანეთს ტანვარჯიშობის უმაღლესი სკოლის ნიმუშთა უფრო ლამაზ დემონსტრაციაში. მათი სახელები ცნობილია ყველა გიმნაზისტისათვის. ისინი ითვლებიან ისეთ ფალავნებად გიმნასტიკაში, როგორც ბოტვინიკი ჭადრაკში".

„თბილისის საზოგადოებრიობამ შეხვედრა მოუწყო ჩემპიონებს. რუსთაველის თეატრში მოეწყო გამარჯვებულთა დაჯილდოება. დარბაზი ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდა ჩემპიონს, რომელიც სცენაზე გამოვიდა ჯილდოს მისაღებად" (გაზეთი „კომუნისტი", № 267. 1934 წ.).

35 წლის შემდეგ კვლავ ხალხით არის სავსე ბევრი სპორტული ბრძოლის მოწმე დარბაზი. კვარცხლბეკიდან, მაგრამ ამჯერად სამგლოვიარო კვარცხლბეკიდან გვიცქერის გ. რცხილაძე. მის ნეშტს ეთხოვება თბილისის საზოგადოებრიობა.

ბ. ჩიკვაიძე.

ჩემპიონატის წინ

კლაგენფურტი, 4 სექტემბერი. ევროპის ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ბევრ ქვეყანაში გამართულა, მაგრამ ავსტრიაში ეს შეჯიბრება პირველად ტარდება ამ სახეობის არსებობის 76 წლის მანძილზე. თავდაპირველად თავიანთ მე-16 ტურნირში გამოვლენ ქალები (5-7 სექტემბერი), შემდეგ (10-14) 55-ე პირველობაში ჩაებმებიან ვაჟები.

ძვირფასი ხისგან დამზადებული მოხდენილი, მსუბუქი ნავების ასპარეზობის ადგილად შერჩეულია კლაგენფურტი, ავსტრიის სამხრეთით, იუგოსლავიის სახელმწიფო საზღვრის მახლობლად მდებარე საკურორტო ქალაქი.

ქალთა ჩემპიონატში მონაწილეობისთვის განაცხადები 15 ქვეყნის სპორტსმენებმა წარმოადგინეს. 5 სექტემბრის შეჯიბრების შემდეგ მხოლოდ გამარჯვებულები მოხვდებიან ფინალში. დანარჩენები „სანუგეშო" რბოლაში მიიღებენ მონაწილეობას. სამაგიეროდ, ნოვგოროდელი ევროპის ჩემპიონები ნ. ბისტროვა, ნ. ბურაკოვა, ნ. აბრამოვა და ნ. ნიკოლაევა პირდაპირ ფინალში გამოვლენ. რადგან მონაწილეებში გახაშლელი ოთხიანი ნავი მხოლოდ ექვსი აღმოჩნდა. მაგრამ საბჭოთა სპორტსმენებს მაინც გული დასწყდათ. მათ სურდათ წინასწარ შეჯიბრებაში ეცადათ ბედი, რათა „უცხო წყალზე" სტარტისწინა მღელვარება დაეძლიათ.

ქალთა ჩემპიონატი საზეიმოდ გაიხსნა. ამ შეჯიბრების მთავარ პრიზს „ქარის წისქვილი" ჰქვია. იგი დიდხანს იყო საბჭოთა კავშირში. მაგრამ შარშან, როგორც 1966 წელს, ჯილდო გდრ-ის ნაკრებს ხვდა.

(სიკდესი).

რაიონული სპარტაკიადები

◆ აბაშა

აქ დამთავრდა „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს სპარტაკიადა. სოფლის ფიზკულტურელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფრენბურთში, ტყვიის სროლაში, ჭადრაკსა და ფეხბურთში. ფრენბურთსა და სროლაში ყველას აჯობეს ნორიოს წარმომადგენლებმა. ჭადრაკში უძლიერესი იყო აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდი. ფეხბურთელთა ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი აბაშის ძერჟინსკის სახელობის და ნორიოს კოლმეურნეობების გუნდები. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს ძველი აბაშის წარმომადგენლებმა.

რ. ჟანტურია.

ფეხბურთი 69

დიალოგი სალორიას ტყეში და „ვეჩერნი მინსკის“ ფურცლებზე

— ბედს არ ვემდურით, —

გვითხრა ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ბლინკოვმა.

— კი მაგრამ, ამ ბოლო დროს რამდენიმე მატჩი რომ წააგეთ?

— ალბათ დამეთანხმებით, რომ კიევისა და მოსკოვის დინამოელებთან, აგრეთვე, ცსკა-სთან წაგება სასირცხო საქმე არ გახლავთ... ჩვენს გუნდს „პროგრამა-მინიმუმი“ შესრულებული აქვს და სწორედ ეს იყო მთავარი — პირველ თოთხმეტეულში მოხვედრა!

... იმ დღეს ქუთაისში საშინლად ცხელოდა. აქ კი, ტორპედოელთა საწვრთნელ ბაზაში — სალორიას მუხნარში ნიავი აგრილებდა გახურებულ ჰაერს. ტორპედოელთა ბაზა საუცხოოდაა მოწყობილი. აქ ყველა პირობაა შექმნილი გუნდის ნაყოფიერი დასვენებისა და ვარჯიშისთვის. ახლახან აქ ფინური აბანოც კი ააშენეს — ორთქლის აბანო. ქუთაისელთა სავარჯიშო მინდორი კი უმაღლესი ლიგის ბევრ სხვა გუნდს შეშურდება.

— წაგებებმა ხომ არ გასტეხა გუნდი?

— არა! კოლექტივში კარგი მდგომარეობაა. იგი მონოლითურია, უაღრესად მეგობრული და დისციპლინიანი. ოდნავადაც არ შეიმჩნევა დაბნეულობა, პანიკა და, პირდაპირ უნდა გითხრათ, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ფეხბურთელები ძალიან სერიოზულად ეკიდებიან სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობას.

— ახლა რა ამოცანებს ისახავთ?

— ამოცანა № 1: რეზერვის სერიოზული გამოცდა. ყოველ მატჩში ვაყენებთ ერთ-ორ ახალბედას, მაგალითად, სანაიას — დაცვაში, ჭოლაძეს — შეტევის მარჯვენა ფლანგზე... ახლო მომავალში კიდევ 3-4 მოთამაშეს შევარჩევთ და ძირითადი შემადგენლობისთვის მოვამზადებთ.

ამოცანა № 2: ახალი ტაქტიკური სქემების დამუშავება დაცვაში, თავდასხმაში, კონტრშეტევაში. ვცდილობთ გუნდის რგოლების ურთიერთმოქმედების შემდგომ სრულყოფას, მათი მობილურობის კიდევ უფრო გაზრდას.

ამოცანა № 3: ჩვენი დუბლშემადგენლობისთვის ვსინჯავთ „ბ“ კლასის და რესპუბლიკის სხვა გუნდების მოთამაშეებს. ცხადია, პერსპექტიული, ნიჭიერი ახალგაზრდები მხედველობიდან არ გამოგვრჩება.

— როსტოველებთან თქვენი მატჩის ანგარიშში „სოვეტსკი სპორტმა“ ცუდი მსაჯობა აღნიშნა. ამაზე რას იტყვით?

— პირდაპირ უნდა გითხრათ; ასეთი უსინდისო მსაჯობა არ მინახავს. განსაკუთრებით გვაოცებს, რომ ჩვენი საყვედურის ობიექტია მოსკოველი არბიტრი ვ. ბაბუშკინი, რომელსაც აქამდე არაერთხელ უმსაჯია ჩვენს მატჩებში და საკმაოდ მაღალ დონეზეც. ახლა კი?.. დავიწყოთ იმით, რომ თითქმის მინდვრის ცენტრში მყოფმა ბაბუშკინმა დაუყოვნებლივ დანიშნა პენალტი ჩვენს კარში მას შემდეგ, რაც ფლანგიდან ჩამოწოდებული ბურთი ხელში მოხვდა საჯარიმო მოედნის გარეთ მდგარ სანაიას. მანამდე კი ჩვენს კარში პირველი საპასუხო გოლი გაიტანა ბონდარენკომ, რომელმაც ბურთი მიიღო თავით და... ხელითაც.

საკავშირო თასის ფინალურ მატჩში ლვოველებთან წაგების შემდეგ გააფთრებული როსტოველები ჩვენს წინააღმდეგ ძალიან უხეშად თამაშობდნენ. მაგალითად, სინაუმ პირდაპირ სარბენ ბილიკზე „ისროლა“ ხერხაძე. სერიოზულად დაშავდა აბზიანიძეც, მაგრამ მსაჯმა არც კი გააფრთხილა როსტოველი. სამაგიეროდ, ორ ქუთაისელს — ებრალიძეს მსაჯთან კამათისთვის (კაპიტანს არბიტრთან ლაპარაკის უფლება აქვს!) და ერქომაიშვილს ბურთის გადაგდებისთვის გაფრთხილება ჩაუწერა... (შერგელაშვილის გაძევება სამართლიანად მიმაჩნია). ბაბუშკინმა ამჯერად ერთობ არაკვალიფიციურად იმსაჯა, რაც განსაკუთრებით ჩანდა მაღალ ბურთებზე და კორპუსით ბრძოლისას.

— მე მომწონს ქართული ფეხბურთი —

ტექნიკური, აზარტული, შემტევი. მხიბლავს ისიც, რომ აქ ფეხბურთელებს თავდავიწყებით უყვართ თამაში...

ასე უპასუხა „ვეჩერნი მინსკის“ კორესპონდენტს ვ. ბლინკოვმა შეკითხვაზე:

— თქვენ ახლა ისევ ქუთაისში ხართ?

ამ საუბრის პირველი კითხვა ასეთი იყო:

— ადრე თქვენ ხომ უკვე მუშაობდით ქუთაისის ტორპედოელებთან?

— დიახ, ერთი სეზონი. ეს იყო 1965 წელს.

— მერე?

— მერე მოსკოვის „ბურევესტნიკის“ ახალგაზრდულ ექსპერიმენტულ გუნდს ვავარჯიშებდი.

— გამოვიდა კი ეს ექსპერიმენტი?

— ვფიქრობ, გამოვიდა. თავად განსაჯეთ: ახლა „ა“ კლასის პირველ ჯგუფში — „სპარტაკში“, მოსკოვის „ტორპედოში“, „ლოკომოტივში“ ამ გუნდის ბევრი ფეხბურთელი თამაშობს. მათგან გამოვყოფდი სპარტაკელებს ლოვჩევსა და ოლშანსკის.

— ქუთაისის „ტორპედოში“ თქვენი ვაჟი ალექსეი თამაშობს. „მამაშვილობა“ ხომ არ უძნელდება მას როგორც მოთამაშეს და თქვენ—როგორც მწვრთნელს?

— ამ კითხვას სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის კუთხით თუ განვიხილავთ, ჩემი მოთხოვნები მისდამი ისეთივეა, როგორიც კოლექტივის დანარჩენი წევრებისადმი. იქნებ ცოტა უფრო მკაცრიც. მე მგონია, მასაც სწორად ესმის თავისი ამოცანები. ჩვენ, საერთოდ, საფეხბურთო ოჯახი გვაქვს — უფროსი ვაჟი ანდრეი ახლა მინსკის „[illegible]“ თამაშობს.

— წაგებების მიუხედავად, შარშან პრესა ხშირად აქებდა ქუთაისის „ტორპედოს“. ლაპარაკი თითქმის იქამდეც კი მივიდა, რომ გუნდის უმთავრესი ამოცანაა ლამაზი, თავისებური თამაში. ქულები კი მეორეხარისხოვანი ამბავია. ასეა ეს?

— მე არ ვიზიარებ ამ შეხედულებას. ფეხბურთი სპორტია. სპორტში კი მნიშვნელოვანია გამარჯვება. ცხადია, თუ იგი ლამაზად მიიღწევა...

* * *

ჩვენც ამ აზრს ვიზიარებთ და ვუსურვებთ ქუთაისის ტორპედოელებს ლამაზ გამარჯვებებს მომავალ მატჩებში.

მ. კაკაბაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

* * *

სურათზე (მარცხნიდან): ქუთაისის „ტორპედოს“ მწვრთნელი გ. ნიშნიანიძე, უფროსი მწვრთნელი ვ. ბლინკოვი, გუნდის უფროსი კ. ხელაია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სსრ კავშირის პირველობა

„ა“ კლასი I ჯგუფი

2:2

3 სექტემბერს გაიმართა საკავშირო პირველობის მორიგი მატჩი: თამაშობდნენ გუნდები, რომლებიც XV-XX ადგილებისთვის იბრძვიან. ტაშკენტის „პახტაკორმა“ თავის მინდორზე მიიღო ერევნის „არარატი“.

თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

გათამაშების ცხრილი
XV-XX ადგილები

მდგომარეობა 6 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„არარატი“ (ერევანი)	26	10	8	8	33—31	28
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	25	9	6	10	25—29	24
„კაირატი“ (ალმა-ათა)	25	7	8	10	23—28	22
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	26	7	6	13	29—32	20
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	26	6	7	13	13—26	19
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	26	3	8	15	18—39	14

„დილა“ ლიდერობას ინარჩუნებს

3 სექტემბერს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები, რომლებიც ასე დამთავრდა: „ლერნაგორცი“ (კაფანი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:0, „არაზი“ (ნახიჭევანი)— „კახეთი“ (თელავი) 0:1, „დაშკინი“ (ზაქათალა) — „დილა“ (გორი) 0:0, „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:0, „ავტომობილისტი“ (ერევანი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:1, „სევანი“ (ოქტემბერიანი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:2, „კოლხეთი“ (ფოთი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:0, „გურია“ (ლანჩხუთი) — „ენგური“ (ზუგდიდი) 2:0, „ლორი“ (კიროვაკანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:0, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:1.

„ბ“ კლასი

გათამაშების ცხრილი

ამიერკავკასიის ზონა

მდგომარეობა 6 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დილა“ (გორი)	26	15	8	3	55—17	38
„გურია“ (ლანჩხუთი)	26	15	6	5	37—20	36
„ავტომობილისტი“ (ერევანი)	26	14	7	5	37—22	35
„მეტალურგი“ (რუსთავი)	26	12	9	5	39—24	33
„მერცხალი“ (მახარაძე)	26	11	9	6	34—19	31
„ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური)	25	11	7	7	37—24	29
„ლორი“ (კიროვაკანი)	26	13	3	10	27—23	29
„ლერნაგორცი“ (კაფანი)	26	13	2	11	29—30	28
„კახეთი“ (თელავი)	26	10	6	10	33—31	26
„შუქურა“ (ქობულეთი)	26	9	5	12	27—31	23
„სევანი“ (ოქტემბერიანი)	26	7	9	10	28—34	23
„ყარაბახი“ (სტეფანაკერტი)	25	7	9	9	18—28	23
„დაშკინი“ (ზაქათალა)	26	8	7	11	21—40	23
„ალაზანი“ (გურჯაანი)	26	7	8	11	26—28	22
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	26	8	5	13	20—34	21
„დინამო“ (სოხუმი)	26	7	6	13	28—31	20
„კოლხეთი“ (ფოთი)	26	5	10	11	17—29	20
„ენგური“ (ზუგდიდი)	26	7	6	13	21—40	20
„არაზი“ (ნახიჭევანი)	26	6	7	13	14—29	19
„სპარტაკი“ (ცხინვალი)	26	5	9	12	19—35	19

საქართველოს ჩემპიონატი

გათამაშების ცხრილი
I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 4 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სულორი“ (ვანი)	25	12	10	3	31—19	34
„სალხინო“ (გეგეჭკორი)	26	12	9	5	41—26	33
„სინათლე“ (თბილისი)	27	8	15	4	35—28	31
„ცისკარი“ (სიღნაღი)	26	12	7	7	28—22	31
„კოლხეთი“ (ცხაკაია)	27	14	3	10	34—36	31
„კოლმეურნე“ (წალენჯიხა)	25	9	11	5	30—20	29
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	27	9	9	9	33—29	27
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	27	10	7	10	33—34	27
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	27	8	11	8	33—34	27
„შრ. რეზერვები“ (გარდაბანი)	27	10	7	10	22—27	27
ასკ (თბილისი)	26	8	9	9	35—31	25
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	27	7	11	9	25—24	25
„ქართლი“ (გორის რაიონი)	27	8	9	10	28—32	25
„მშენებელი“ (ბორჯომი)	27	9	7	11	26—31	25
„მესხეთი“ (ახალციხე)	27	8	8	11	27—33	24
„აერო“ (გალი)	27	8	8	11	26—34	24
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	27	8	7	12	30—35	23
„დურუჯი“ (ყვარელი)	26	5	11	10	34—38	21
„სამცხე“ (აწყური)	26	9	3	14	26—34	21
„ლაითური“ (მახარაძის რაიონი)	26	6	8	12	29—34	20

გვესაუბრება ვ. ბლინკოვი

„არარატი“ მიზანთან ახლოსაა

ვანელები თუ?..

„ოქროს თავთავის“ თასი აწყურელებს

გუშინწინ თბილისის არმიის სპორტული კლუბის სტადიონზე გაიმართა სოფლის ფეხბურთელთა გუნდების ფინალური შეხვედრა „ოქროს თავთავის“ თასზე. ერთმანეთს შეხვდნენ აწყურის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობისა და ლენინგორის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლები.

თავდაპირველად დაწინაურდნენ ლენინგორელები, მაგრამ შემდეგ აწყურელებმა იმარჯვეს და ანგარიში გაათანაბრეს. 1:1 — ასე დამთავრდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ აწყურის გუნდმა გაცილებით უკეთესად ითამაშა, კიდევ 2 გოლი გაიტანა, გაიმარჯვა (3:1) და „ოქროს თავთავის“ თასი ხელმეორედ მოიპოვა (იგი შარშანაც ამ საპატიო პრიზის მფლობელი იყო).

ჯ. ენდელაძე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაცია იუწყება
გიორგი ვასილის ძე
რცხილაძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.